პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 173 (11479)
სამშაბათი
28
ივლისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

კვიპროსის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია

25 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო კვიპროსის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვევით.

მიღებას დაესწრნენ: დელეგაციის მეთაური — ქალაქ ნიკოზიის მერი, კვიპროსის ეროვნული პარტიის ლიდერი ფ. დერვისი, ქალაქ ლიმასოლის მერი კ. არტასიდისი, ქალაქ ნიკოზიის მთავარი ქირურგი გ. მარანგოსი, ეკონომ ქალაქ ლიმასოლიდან კ. ავლიდისი, არქიტექტორი ქალაქ ნიკოზიიდან გ. მიხაილიდისი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებას დაესწრნენ: საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა და კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. გორშკოვი.

დელეგაციის წევრებმა ნ. ს. ხრუშჩოვს გაუზიარეს მოსკოვში, ლენინგრადსა და საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოფნის შთაბეჭდილებანი.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მშვიდობისა და მეგობრობისათვის

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებს

გულითადად მივესალმები ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებს, რომლებიც ვენაში შეიკრიბნენ. ძალიან კარგია, რომ სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ახალგაზრდობა იკრიბება ერთად, რათა დაადასტუროს თავისი მხურვალე მისწრაფება — იცხოვროს მშვიდობითა და მეგობრობით, პატივი სცეს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხთა ტრადიციებს.

ახალგაზრდობამ თავისი ფესტივალების დევიზად კეთილშობილური მოწოდება აირჩია: „მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“. საზოგადოებრივ - პოლიტიკურ სისტემათა განსხვავება არ უნდა უშლიდეს ხელს სახელმწიფოებს მშვიდობიან ცხოვრებაში. ეს მით უმეტეს არ უნდა აბრკოლებდეს ახალგაზრდა თაობის ადამიანთა მეგობრობასა და თანამშრომლობას, რათა ისინი შეხვდნენ ერთმანეთს სპორტულ შეჯიბრებაში, გაუზიარონ ერთიმეორეს თავიანთი ხალხების კულტურის მიღწევები. ყოველნაირად უნდა მივესალმოთ და დავუჭიროთ მხარი ახალგაზრდობის მისწრაფებას უფრო ხშირად შეხვდნენ ერთმანეთს, გაუზიარონ აზრი ერთიმეორეს, რათა უკეთ გაიცნონ და გაიგონ ერთმანეთი.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ჩვენი საუკუნის უდიდესი ღირსებანი უნდა ემსახურებოდეს აღმშენებლობას და არა ნგრევას, ემსახურებოდეს ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას და არა მათ გაქრობას. მათ შეუძლიათ და კიდევაც უნდა მოუტანონ კაცობრიობას და უწინარეს ყოვლისა თქვენ, ახალგაზრდა ადამიანებს, არა მარტო ცხოვრების მეტი სიკეთე, არამედ სულიერი გამდიდრებაც.

მივესალმები რა თქვენი სახით მსოფლიოს ახალგაზრდობას, მინდა გისურვოთ წარმატება სწავლასა და შრომაში, მშვიდობიანი შემოქმედების ასპარეზზე, რათა გაიზარდოს და გამრავლდეს მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. დაამშვენეთ დედამიწა თქვენი შრომისა და თქვენი ნიჭის ნაყოფით! მომავალი ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის. კეთილი ნების ადამიანებს სურთ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებმა გაიმარჯვოს, რომ კაცობრიობამ შეძლოს განთავისუფლდეს ომის საშინელებათაგან, რომ ახალგაზრდობამ მთელი თავისი ძალონე და ნიჭი გამოიყენოს მშვიდობიან ასპარეზზე კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მისი პროგრესისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებ VII მსოფლიო ფესტივალს, ყველა მის მონაწილესა და დელეგატს წარმატებას კეთილშობილური მიზნების მისაღწევად, რომლებიც თქვენ დაისახეთ.

ნ. ხრუშჩოვი.

1959 წლის 25 ივლისი.

ტაშისკარიდან მოედინება სიცოცხლის წყარო

ახალი საირიგაციო სისტემა მწყობრში

ხაშური. („კომუნისტის“ საკ. კორ.). თითქოს თავისი მაცოცხლებელი ძალა იგრძნოო, ისე მოქუხდა, მოაგორებდა ტალღებს მდინარე მტკვარი. ხმაურობდა მთელი ხეობა. ახალდაბისაკენ, იქ, სადაც მდინარე მტკვარზე აგებულია ტაშისკარის სარწყავი სისტემის სათავო ნაგებობათა კვანძი, დილიდანვე თბილისი-ბორჯომის გზატკეცილი იწყო ხალხმა დენა, მიდიოდა მანქანების მთელი ქარავნები.

სათავესთან თავი მოიყარეს ხაშურისა და ქარელის რაიონების მშრომელებმა და მათმა სტუმრებმა ბორჯომის, გორის რაიონებიდან, თბილისიდან.

დღის პირველი საათია. სათავო ნაგებობათა კვანძის ეზოში სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ადიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. კუჭავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე ი. რთველიაშვილი, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მ. კუჭავა შესავალი სიტყვით ხსნის ტაშისკარის სარწყავი სისტემის საზეიმო მიტინგს.

— ტაშისკარის სარწყავი სისტემის გახსნა, — ამბობს ამხ. მ. კუჭავა, — ხდება იმ ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ ჩვენი შვიდწლედის მძლავრ ნაბიჯებს, საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას.

მწყობრში დგება ტაშისკარის სარწყავი სისტემა. მისი აგება ცხადყოფს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ მზრუნველობას სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამხ. მ. კუჭავა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით ულოცავს მშენებლებსა და ხაშურისა და ქარელის რაიონების მშრომელებს ტაშისკარის სარწყავი სისტემის ექსპლოატაციის დაწყებას.

სიტყვას ამბობს ქარელის რაიონის სოფელ მოხისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ლობჟანიძე: — ტაშისკარის არხი მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში მორწყავს ცხრაას ჰექტარზე მეტ ფართობს. კოლმეურნეები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ვადაზე ადრე განხორციელდება შვიდწლედი. მტკვრის წყალი გვალვისაგან მუდამ გადამწვარ ჩვენს მინდვრებსა და სოფელს ბაღნარად აქცევს.

— დღეს ჩვენი კოლექტივი, — თქვა მეარმატურე გ. ულუმბელაშვილმა, — ზეიმობს შრომის შედეგს — სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრებას. მშენებლები გახარებული ვართ, რომ სარწყავი სისტემა დიდ დახმარებას გაუწევს ხაშურისა და ქარელის რაიონების მშრომელებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებაში, შვიდწლიანი გეგმით მათ წინაშე დაყენებული ამოცანების ვადამდე შესრულებაში.

ტრიბუნაზეა მწერალი სანდრო შანშიაშვილი. მან თქვა: — ტაშისკარში გიორგი სააკაძემ საბავდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაამარცხა შემოსეული მტერი. ეს იყო წინათ. მაგრამ დღეს ამ ადგილზე მოვიდნენ შრომის ადამიანები, ნატანჯ მიწას გული გაუხსნეს, მტკვარი გადმოუშვეს და ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწას სიცოცხლე მისცეს, რომ მოსავალმა ერთიათად იმატოს.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ქვლივიძემ, პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ეცადაშვილმა, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა ი. ლადიძემ, ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსმა შ. ყიასაშვილმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იმ პირთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობაში.

მიტინგი დამთავრდა. მისი მონაწილენი მიდიან წყალსაშვები კაშხალისაკენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მ. კუჭავა სჭრის წითელ ლენტს. მტკვრის მაცოცხლებელი ნაკადი არხში შეიჭრა.

...მოდის წყალი! მოდის! — სოფლიდან სოფელში ისმის მშრომელთა ხმა...

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე

ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით ის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აგაშვილი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — მემონტაჟე.
2. **ამბოკაძე** დიმიტრი ისაკის-ძე — ქარელის რაიონის სოფელ მოხისის კოლმეურნეობის წევრი.
3. **ბაბილუა** ვლადიმერ ლუკას-ძე — უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
4. **ბერიშვილი** ბენედიქტე მალაქიას-ძე — სამუშაოთა მწარმოებელი.
5. **განჯელაშვილი** აკაკი ნიკოლოზის-ძე — ხაშურის რაიონის სოფელ სატივის კოლმეურნეობის წევრი.
6. **გაჩეჩილაძე** შალვა რაჟდენის-ძე — უბნის უფროსი.
7. **გოლუბიანი** ოთარ გიორგის-ძე — ექსკავატორის მემანქანე.
8. **დაბრუნდაშვილი** ედიშერ ლევანის-ძე — ხაშურის რაიონის სოფელ ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
9. **დომბროვსკი** ალბინ ბიკენტის-ძე — ელექტროშემდუღებელი.
10. **იშხანოვი** ალექსანდრე სპირიდონის-ძე — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს წყალსამეურნეო მშენებლობის დაპროექტების ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი.
11. **კილაბერიძე** ნიკოლოზ გიორგის-ძე — მთავარი მექანიკოსი.
12. **კიკაძე** ივანე ვასილის-ძე — ავტომანქანის მძღოლი.
13. **ლიაძე** შალვა ივანეს-ძე — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს წყალსამეურნეო მშენებლობის დაპროექტების ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების უფროსი.
14. **მარგველაშვილი** გიორგი ვასილის-ძე — მებეტონე.
15. **მელქიძე** ერმალო ივანეს-ძე — დურგალი.
16. **მსხალაძე** ნიკოლოზ გიორგის-ძე — მებეტონე.
17. **ორეხოვი** პავლე სიმონის-ძე — მემონტაჟე.
18. **ოსაძე** ვახტანგ ანდრიასის-ძე — ქარელის რაიონის სოფელ აბანოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
19. **პავლაძე** სიმონ ალექსის-ძე — საქართველოს კპ ქარელის რაიკომის მეორე მდივანი.
20. **ულუმბელაშვილი** გოდერძი ალექსანდრეს-ძე — მეარმატურე.
21. **ქეხანაშვილი** გრიგოლ პავლეს-ძე — უბნის უფროსი.
22. **ყიასაშვილი** შალვა ივანეს-ძე — მშენებლობის უფროსი.
23. **ჭიკინაძე** გიორგი ზაქარიას-ძე — მებეტონე.
24. **ხარაძე** გიორგი არჩილის-ძე — მებულდოზერე.
25. **ხეთაგური** თენგიზ არსენის-ძე — მებულდოზერე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბ. შინკუბა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1959 წ. 25 ივლისი.

რ. ნიქსონი სსრ კავშირში

25 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ მ. ნიქსონმა კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიკოიანს. ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ამავე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ მ. ნიქსონმა კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ფ. რ. კოზლოვს. ფ. რ. კოზლოვსა და რ. ნიქსონს შორის გაიმართა გაცხოველებული საუბარი მთელ რიგ ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

ვიზიტების შემდეგ ამერიკელმა სტუმარმა თანმხლებ პირებთან ერთად დაათვალიერა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. აქ იგი გაეცნო მთავარი პავილიონის ექსპონატებს, დაათვალიერა პავილიონები „უზბეკეთის სსრ“, „ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით“, „მსუბუქი მრეწველობა“

გამოფენაზე სტუმრებისათვის გაიმართა საუზმე.

26 ივლისის კვირა დღე ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ მ. ნიქსონმა და მისმა მეუღლემ გაატარეს მთავრობის აგარაკზე მოსკოვის ახლოს. ისინი იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი მეუღლის სტუმრები.

ვიცე-პრეზიდენტთან ერთად იყვნენ დოქტორი მილტონ ეიზენჰაუერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლ. ე. ტომპსონი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპის საქმეებში ფოი დ. კოლერი და სხვა ამერიკელი სტუმრები.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და რ. ნიქსონს შორის გაიმართა გულახდილი და მეტად ცხოველი საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ საკითხებს, რომლებსაც ამჟამად განიხილავენ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებს.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს: საბჭოთა კავშირის მხრივ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. ჟუკოვმა. (საკვლევი).

• • •

27 ივლისს დილით მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ მ. ნიქსონი. საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ წავიდნენ აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტთან ჩამოსული პირები.

ვიცე-პრეზიდენტს ახლავან — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი და სხვები. (საკვლევი).

ჩამორჩენილნი — მოწინავეთა დონემდე!

კეთილშობილური მიზანი

საკოლმეურნეო სოფელი მხარს უჭერს ვ. გაგანოვას ინიციატივას

გ. გოგიაშვილი.

• • •

საკოლმეურნეო საქმის გულშემატკივარნი, კასპის რაიონის ყარაღაჯის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები არ იშურებდნენ ენერგიას იმისათვის, რომ მოეყვანათ ხორბლის, სიმინდის, ხილის და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. მაგრამ ცალკეული კოლმეურნეების თავდადებული შრომა კოლმეურნეობის საერთო წარმატებას ვერ შექმნიდა. საქმე დამოკიდებული იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე, მის ორგანიზატორულ მუშაობაზე.

სოფელ ყარაღაჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. დემეტრაშვილს სწორედ ორგანიზატორული მუშაობის უნარი აკლდა. ამით სარგებლობდა კოლმეურნეთა ერთი ნაწილი. ისინი გაურბოდნენ საკოლმეურნეო შრომას, გატაცებული იყვნენ მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებით. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საგალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 73 კოლმეურნეს. საბავშვო ბაღის მოუწყობლობის გამო 25 ბავშვიანი ქალი მონაწილეობას ვერ იღებს მინდვრის სამუშაოებში. საერთოდ კოლმეურნეობაში შრომა მოუწესრიგებელია.

კოლმეურნეობას ძირითადად სარწყავი მიწა აქვს. მიუხედავად ამისა, რწყვას არ იყენებენ. როცა ნათესები გაფუჭების კარზე იყო მიმდგარი, მაშინ იწყებოდა ხმაური და განგაში ნათესების მოსარწყავად. გულშემატკივარი კოლმეურნეები თავმჯდომარეს დროულად აძლევდნენ სიგნალს, მაგრამ მისგან ყოველთვის ასეთ პასუხს იღებდნენ: „მოითმინეთ შეიძლება ხვალ წვიმა მოვიდეს“.

ცხადია, ასეთი მუშაობით საკოლმეურნეო ხვავი ვერ გაიზრდებოდა. შარშან საშუალოდ ჰექტარზე ნაცვლად 25 ცენტნერისა 18 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ასევე ვერ შეასრულეს ხორბლის, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმები.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობაში ყველა საშუალება არსებობდა მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის, მაინც ეს დარგი სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა. შარშან საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე ძლივს მიიღეს 549 ლიტრი რძე. კოლმეურნეობაში დეფიციტურულ დავალიანებამ 43.056 მანეთს მიაღწია და სხვ.

როცა ამ კოლმეურნეობის მეზობელი სოფლის ზემო ხანდაკის საშუალო სკოლის დირექტორი გიორგი გოგიაშვილი გაზეთ „კომუნისტში“ თეთრი წყაროს რაიონის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორის პ. გელაშვილის წერილს გაეცნო, აზრი დაებადა სოფელ ყარაღაჯის კოლმეურნეობაში სამუშაოდ წასულიყო.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომმა მიიღო საშუალო სკოლის დირექტორის გიორგი გოგიაშვილის განცხადება, სადაც იგი წერდა: „ვთხოვ რაიკომის ბიუროს გამგზავნოთ მუდმივ სამუშაოზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში. ვიცი, რომ პირველად მუშაობაში სიძნელეები მექნება. მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მთელი ჩემი ცოდნა, ენერგია მოვახმარო ჩამორჩენილი კოლმეურნეობის მოწინავეთა დონემდე აყვანას და ამით ჩემი წვლილი შევიტანო კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში“.

პარტიის კასპის რაიკომის ბიუროს მოიწონა გ. გოგიაშვილის პატრიოტული ნაბიჯი და მისცა მას რეკომენდაცია რაიონში ყველაზე ჩამორჩენილ სოფელ ყარაღაჯის კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

ყარაღაჯელები იცნობენ გიორგი გოგიაშვილს, იგი თავისუფალ დროს მოსწავლეებთან ერთად ხშირად ეხმარებოდა ამ კოლმეურნეობას მინდვრის სამუშაოებში. ამიტომაც ამ დღეებში გ. გოგიაშვილი კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ერთხმად აირჩიეს თავმჯდომარედ.

ახალი თავმჯდომარე აქტივთან ერთად ადგენს სამუშაო გეგმას კოლმეურნეობაში მთელ რიგ ჩამორჩენილ სამუშაოთა გამოსასწორებლად.

შ. ჭოჭუა,
მ. ხეთაგური.

რკინიგზელთა გამარჯვება

ამიერკავკასიის მაგისტრალის კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა

რკინიგზელის დღის ღირსეული შეხვედრისათვის მზადების დღეებში ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის კოლექტივმა დიდი საწარმოო წარმატებანი მოიპოვა. ეს წარმატებანი აღინიშნა საპატიო ჯილდოთი — გზათა სამინისტროს და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც გზის კოლექტივს მიეკუთვნა 1959 წლის მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით.

1959 წლის მეორე კვარტალში ამიერკავკასიის მაგისტრალის კოლექტივმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა რკინიგზელთა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც მან იკისრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ალსანიშნავად. დატვირთვის საერთო გეგმა შესრულებულია 104,9 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 11 პროცენტით, გადაზიდვის თვითღირებულება შემცირებულია 9 პროცენტით. (საკვლევი).

ტაშისკარის სარწყავი სისტემის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი. ტრიბუნაზეა მშენებლობის მოწინავე მეარმატურე გ. ულუმბელაშვილი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

პროლეტარულ ბიბლიოთეკა

ლენინის რაიონის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს **35 მილიონი მანეთის პროდუქცია**

ელმავალმშენებლებმა 23 საათით შეამცირეს დეტალების დამზადების საწარმოო ციკლი

მეორე წელია აღარ ჩანს სასურველი ციფრი—100

მთელი ძალები — სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

ტექნიკური პროგრესი—შვიდწლედის ფონდს!

შვიდწლედის ადამიანები

ფოდადს აღნობს მ. სპანდარაშვილი

ამერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდა მეფოლადე მ. სპანდარაშვილი თავისი ცოდნით და გამოცდილებით ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალს ამოუდგა მხარში.

ბრიგადის სახელით მ. სპანდარაშვილმა ვალდებულება იკისრა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს ნახევარი მილიონი მანეთი. ეს ვალდებულება მეფოლადეებმა დიდი ხანია გაანაღდეს. ბრიგადის წევრებმა მიაღწიეს ღუმელის ინტენსიურ მუშაობას, რითაც ნულამდე დაიყვანეს ლითონის დანაკარგები. 6 თვეში ბრიგადამ 200 ტონა მეტალაზმი და 140 ტონაზე მეტი მაზუთი დაზოგა. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მარტენის საამქროს მოწინავე ბრიგადირი მ. სპანდარაშვილი (მარჯვნივ) და მეფოლადე ი. ხარანაული.

ფოტო ხ. ონანოვისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

კაპიკები? არა, — ათასები

რეზერვები არის, საჭიროა მათი გამოყენება

ლენინის რაიონის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი კონკრეტულ საბრძოლო პროგრამად მიიღეს და მძლავრი შემოქმედებითი გაქანებით შეუდგნენ მის განხორციელებას. რაიონის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს ორგანიზატორულ და იდეოლოგიური მუშაობის მეთოდებს იმისათვის, რომ უკეთ, უფრო მიზანსწრაფულად წარმართოს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების თავდადებული შრომა შვიდწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ახლახან პარტიის ლენინის რაიკომის ინიციატივით მოეწყო წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის კომპლექსური ბრიგადების ხელმძღვანელთა თათბირი, ლენინის რაიონის და ქალაქ რუსთავის ინჟინრების, ტექნიკოსების, წარმოების ნოვატორების შეკრება. ეს ღონისძიებები მიმართული იყო წარმოების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის, საწარმოების უახლესი ტექნიკით აღჭურვის დაჩქარებისაკენ.

თუ რამდენად ღვიძლი და სისხლხორცეულია მასებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანები, ამას ნათლად მოწმობს რაიონის მშრომელთა თავდადებული; შრომა, პატრიოტული ინიციატივის ახალი და ახალი გამოვლინება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გახსნამდე თბილისელმა ელმავალმშენებლებმა მოუწოდეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მოპოვებული ახალი წარმატებებით შეხვედროდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. ამ პატრიოტულ ინიციატივას, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე. ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო. ლენინის რაიონის საწარმოებმა ექვსი თვის გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა გაითვალისწინა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა შვიდწლედი ექვს წელიწადში გაანაღდოს. ამ ამოცანის განხორციელებას ელმავალმშენებლებმა წარმოების შემდგომი ტექნიკური პროგრესი დაუდეს საფუძვლად.

ნაკადური ხაზების შემოღებით, დეტალების დატვირთვის მეთოდის დანერგვით ელმავალმშენებლებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება და შეამცირეს მისი თვითღირებულება. წევის ძრავის კორპუსების ნაკადური ხაზის დანერგვით მათ 23 საათით შეიმცირეს ამ დეტალების დამზადების საწარმოო ციკლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა შეიმუშავა წარმოების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის შემდგომი განვითარების, წარმოების ტექნიკური პროგრესის გაშლილი პროგრამა და მიგვითითა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დავნერგოთ ისეთი უახლესი ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურ გადიდებას შრომის, ნედლეულისა და სხვა მატერიალური რესურსების მინიმალური დანახარჯებით. ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს ლენინის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა თბილისის ჩარხმშენებელთა შემოქმედებითი ინიციატივის მძლავრი აზვირთება გამოიწვია. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს მთელი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მიმართეს მოწოდებით ჩაებან შეჯიბრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ვადაზე ადრე და სრულად განხორციელებისათვის. ჩარხმშენებელთა ეს ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ტექნიკური პროგრესის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში დიდი როლი აკისრიათ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, წარმოების ნოვატორებს. ეს კარგად აქვთ შეგნებული თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ქარხნის პარტიული კომიტეტი საქმის ცოდნით უძღვება წარმოების ნოვატორთა ლაშქრობას ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ახლახან პარტიულმა ორგანიზაციამ შეისწავლა ორთქლმავლების ამწყობი საამქროს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიანობა. ეს საკითხი განიხილეს პარტიული კომიტეტის სხდომაზე, რომელიც თვით საამქროში გაიმართა.

ექვსი თვეში სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვით ათეულ ათასობით მანეთი შეიტანა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო გააღრმავა ლენინის რაიონის მშრომელთა პასუხისმგებლობა წარმოების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციისათვის. ჩვენს ინდუსტრიულ რაიონს ვრცელი ჰორიზონტი აქვს ტექნიკის გაუმჯობესებისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, წარმოების ავტომატიზაციის დაჩქარებისათვის. ჩვენს საწარმოებში ამ მხრივ უდიდესი რეზერვებია. პარტიის რაიონული კომიტეტის და საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა რაც შეიძლება მალე გამონახონ და ეფექტურად გამოიყენონ ეს რეზერვები.

ვ. ნინოშვილი,

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ტექნიკური პროგრესის დარგში ერთ-ერთ ძირითად, პრაქტიკულად გადასაჭრელ ამოცანად დასახა ცალკეული საწარმოო ოპერაციების ავტომატიზაციიდან მთლიანად ავტომატიზებული ტექნოლოგიური პროცესების, საამქროებისა და საწარმოების შექმნაზე გადასვლა უწინარეს ყოვლისა იმ დარგებში, სადაც ავტომატიზაცია უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიურ ეფექტს. წარმოების ავტომატიზაცია თანამედროვე ეტაპზე ტექნიკური პროგრესის საფუძველია, მისი განმსაზღვრელი, წამყვანი რგოლია. იგი ტექნიკის განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგია.

რით არის განპირობებული წარმოების ავტომატიზაციის ობიექტური აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე? იგი ნაკარნახევია ტექნიკური აუცილებლობით: მექანიზმების უდიდესი სიმძლავრე და გასაოცრად სწრაფი მოძრაობა, ატომგულისა და ენერგიის სხვა თანამედროვე წყაროების გამოყენება, ძლიერ მაღალ და დაბალ ტემპერატურიანი ტექნოლოგიური რეჟიმის დანერგვა, მისი უმაღლესი სიზუსტის დაცვა, მძლავრი ენერგეტიკული სისტემების მართვა, ქიმიური პროცესების როლის ამაღლება, კოსმოსური სივრცეების ათვისება და ა. შ. მეტისმეტად აღემატება ადამიანის კუნთოვანი და ნერვული სისტემების შეზღუდულ შესაძლებლობებს. შეუძლებელს ხდის ადამიანის უშუალო მონაწილეობას წარმოების მართვასა და რეგულაციაში და განაპირობებს აუცილებელ გადასვლას ავტომატიზაციაზე.

წარმოების ავტომატიზაცია განპირობებულია აგრეთვე ეკონომიური გარემოებებით. ყოველი წარმოების, როგორი საზოგადოებრივი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს მას, ეკონომიურ ტენდენციას წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების შემცირება: ცოცხალი შრომის წილის შემცირება და განივთებული შრომის წილის გადიდება პროდუქტში. ამ ტენდენციას ასახავს შრომის ნაყოფიერების ამაღლების საერთო ეკონომიური კანონი.

წარმოების ავტომატიზაციის დანერგვის მასშტაბი და გამოყენება დამოკიდებულია წარმოებითი ურთიერთობის ხასიათზე. ავტომატიზაციის შესაძლებლობანი, მისი სოციალური და ეკონომიური შედეგები სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დროს პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების ავტომატიზაციის მასშტაბი შეზღუდულია კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა და სხვა ეკონომიური კანონების მოქმედებით. მაქსიმალური მოგებისადმი გამოდევნება კაპიტალისტებს უბიძგებს ტექნიკური სიახლისაკენ, მაგრამ ახალი ტექნიკის გამოყენება გამოდევნის წარმოებაში დასაქმებული მუშების გარკვეულ რიცხვს, ამცირებს ზედმეტი ღირებულების შექმნას მოცემულ კაპიტალზე. ამიტომ კაპიტალისტი აძლიერებს მუშების ექსპლოატაციას, ამცირებს ხელფასს, რომ მის ხარჯზე გაადიდოს ზედმეტი ღირებულების მასა. ხელფასის დაბალი დონე კი აბრკოლებს ახალი ტექნიკის შემოდებას.

ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ თანმიმდევრული და ბოლომდე დასრულებული ავტომატიზაცია წარმოების ყველა დარგში შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი მოითხოვს მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის წარმოების განუწყვეტელ ზრდასა და სრულყოფას უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. ეს კი განუსაზღვრელ მასშტაბებს ქმნის წარმოების ავტომატიზაციისათვის. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის მოქმედების საფუძველზე ტექნიკურ პროგრესს ჩვენთან გეგმიანი ხასიათი აქვს. იგი სახალხო მეურნეობის გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ივნისის პლენუმზე მხარდაჭერა ჰპოვა წინადადებამ ავტომატური მოწყობილობის წარმოების ერთიანი სახელმწიფო გეგმის შედგენის შესახებ, რაც კიდევ უფრო დაიჩქარებს ავტომატიზაციის პროცესს. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლების კანონიც წარმოების ავტომატიზაციის შემდგომი სრულყოფის მიმართულებით მოქმედებს. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობისას მანქანა საზოგადოებას არა მარტო უზომავს შრომას, არამედ ადგილებს მუშების შრომას, ამიტომ ისინი დიდი ხალისით იყენებენ მანქანებს სახალხო მეურნეობაში, ტექნიკური პროგრესით ისინი სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენში მუშათა რიგებში იზრდება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი. ამ მხრივ ერთ-ერთ თავისებურებას ის შეადგენს, რომ ჩვენს ქვეყანაში ტექნიკის გაუმჯობესებაში მონაწილეობენ არა მარტო მეცნიერების წარმომადგენლები, არამედ მოწინავე მუშებიც. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ავტომატიზაციის დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. შავ და ფერად მეტალურგიაში დასახულია ავტომატიზებულ იქნას სამთამადნო მრეწველობის 250 ობიექტი, 114 ბრძმედი და 177 მარტენის ღუმელი, 45 ნაგლინის დგანი, ქიმიურ მრეწველობაში — 150 საამქრო და სხვადასხვა წარმოება. მანქანათმშენებლობაში, სადაც ჯერ კიდევ ხელის შრომის ხარჯებს მთელი სამუშაო დროის ნახევარზე მეტი უჭირავს, გათვალისწინებულია მექანიზაცია და ავტომატიზაცია აყვანილ იქნას 60-70 პროცენტამდე. მსუბუქ და ყვების მრეწველობაში შვიდწლედში დანერგვება 10.000 ავტომატიზებული ნაკადური ხაზი, 50 ათასზე მეტი დაზგა და ავტომატები. უდიდესი ყურადღება მიექცევა ადრიცხვისა და დოკუმენტების გაფორმების ავტომატიზაციას; გათვალისწინებულია დიდი რაოდენობით ციფრების მანქანების — გამომთვლელი, მმართველი, საინფორმაციო მანქანების წარმოება. საქართველო შრომუმოკლეს ვადაში განხორციელდება რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგურისა და ქვესადგურის სრული ავტომატიზაცია.

60-70 პროცენტი

10.000 ავტომატიზებული ნაკადური ხაზი



რა არის ყველაზე მთავარი? — ავტომატიზაცია, ეკონომია!

კომუნიზმის მშენებლობის თეორიული პრობლემები

წარმოების ავტომატიზაციას სოციალიზმის დროს თან ახლავს უდიდესი ეკონომიური ეფექტი. იგი ზრდის შრომის ნაყოფიერებასა და ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ავტომატიზაცია არ მოითხოვს დამატებითი საწარმოო ფართობის მშენებლობას და ენერგეტიკულ ხარჯებს, გამოათავისუფლებს მუშებს ერთ უბანზე, რაც უზრუნველყოფს დამატებითი მუშახელით მეორე უბანს. ეს კი გაზრდის წარმოებას. ავტომატიზაციის დროს პროდუქციის მატებისათვის გაცილებით ნაკლები კაპიტალური დანახარჯებია საჭირო, ვიდრე ახალი მშენებლობისათვის იმავე მატების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ უაღრესად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მოქმედი საწარმოებისა და მოწყობილობის უსწრაფეს მოდერნიზაციას და რეკონსტრუქციას, რაც ივნისის პლენუმმა ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აღიარა. აქ პირველხარისხოვან ამოცანად დგას კაპიტალური მშენებლობის მაღალი ეკონომიური ეფექტიანობა: მშენებლობის ობიექტების დროულად მწყობრში ჩაყენება და პროდუქციის სწრაფად მიღება, კაპიტალური დანახარჯების სწრაფი ანაზღაურება.

ავტომატიზაციის უდიდესი შესაძლებლობები სოციალიზმის დროს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს იგი ხორციელდებოდეს თავისთავად, ავტომატურად. სიძნელეების გარეშე. მისი წარმატებით დანერგვა დამოკიდებულია უნარიან ხელმძღვანელობაზე. ივნისის პლენუმმა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს დაუსახა ამოცანა გადაჭრით იბრძოლონ კონსერვატიზმს ტექნიკის განვითარებაში, განუწყვეტლივ აუმჯობესონ ტექნიკა. პლენუმმა განსაზღვრა ტექნიკური პროგრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის კონკრეტული ფორმები.

ვ. ი. ლენინი ორმოცდაექვსი წლის წინათ ამბობდა: „წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ... ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად. ჩვენ ეს ვიცით, — და განა ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის გულისათვის არ ღირს მუშაობა, არ ღირს მთელი ძალღონის შეწირვა? და მშრომელები შეასრულებენ ამ ტიტანური ისტორიულ სამუშაოს, რადგან მათში დამარხულია რევოლუციის, აღორძინებისა და განახლების მთელი მარე დიადი ძალები“.. დღეს საბჭოთა ხალხის ეს დიადი ძალები მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მძლავრად ამოქმედებული და ჩართულია კომუნიზმის აშენებისათვის გაჩაღებულ გრანდიოზულ მუშაობაში.

რ. ფულუკიძე,

დოცენტი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

რეკონსტრუქცია ფერხდება, ხელმძღვანელები თვლემენ...

არა, მუშაობის ასეთი სტილი ჩვენთვის უცხოა

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ არსებობს გელათშახტმშენის სამმართველო. მას დაკისრებული აქვს მეტად პასუხსაგები საქმე — გელათის შახტის რეკონსტრუქცია. სამმართველომ ეს დიდმნიშვნელოვანი სამუშაო 1961 წლის უნდა დაამთავროს. რეკონსტრუქციის შემდეგ გელათის შახტი ორჯერ გაადიდებს ქვანახშირის ამოღებას.

როგორ ასრულებს გელათშახტმშენის სამმართველო (უფროსი ნ. ალხაზიშვილი) მიზისქვეშა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს?

თვიდან თვემდე არ სრულდება მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების გაყვანის დაგალებები. სასურველი ციფრი „100“ შარშან და წელს იშვიათად გამოჩენილა საწარმოო გეგმის განაღდების პროცენტულ მაჩვენებლებში. გასულ წელს სარეკონსტრუქციო უბანმა წოლხვრელების გაყვანის გეგმა მხოლოდ 69,5 პროცენტით გაანაღდა. მშენებლებმა ვერც წელს გამოასწორეს ჩამორჩენა. ხუთი თვის გეგმა 75,6 პროცენტით შესრულეს.

მიწისქვეშა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩავარდნის ნამდვილ მიზეზებზე მუშები გულახდილად ლაპარაკობენ. მოგესმინოთ მათ:

— ჩვენმა ბრიგადამ, — თქვა გათხრის ოსტატმა კ. ქათამაძემ, — გუშინწინ აფეთქა სანგრევი. წოლხვრელმა დაახლოებით ერთი მეტრით წაიწია წინა. მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხეთ ფეხი ქანის გამოტვირთვა. ამის მიზეზია ფეხი ქანის თვითსატვირთავი მანქანის ეუსნერო მდგომარეობა. იგი თითქმის ყოველდღე გამოდის მწყობრიდან, რაც ბრიგადის მოვალეობის ეწვევა.

— არც მომნგრეელი ჩაქუჩები გვივარგა, — შენიშნა შახტმშენებელმა მ. ბუხაიძემ, — ისინი ხშირად ფუჭდება, სარეზერვო ჩაქუჩები კი მშენებლობას არ გააჩნია.

— მოუგვარებელია გამონამუშევრების სუფთა ჰაერის ჭაელით განიავების საქმე, — ლაპარაკში ჩაერია მშენებლობაზე ახლადმიღებული გამყვანი შ. წულუკიძე, — არსებული, ძველი ვენტილატორი მცირე წარმადობისაა. მას შემდეგ, რაც სამთო გამონამუშევართა მოცულობა გადიდდა, იგი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას ჰაერზე. დიდი ხანია, რაც აქ ახალი ვენტილატორი დაამონტაჟეს, მაგრამ ჯერაც არ აუმუშავებიათ.

ცვლის ახალგაზრდა ინჟინერმა მ. დვალიშვილმა თქვა: — მოუგვარებელია მოძრაობის საქმე. საშახტო ელმავალს სანგრევში მხოლოდ ოთხი ვაგონეტი შეაყავს. ეს საქმეს ვერ შეელის, ფეხი ქანის გამოზიდვა ძნელდება. უკამოსოდ კი სანგრევის წინსვლა შეუძლებელია.

გამოირკვა, რომ ამ საქმის მოგვარება არც ისე ძნელია, როგორც აქ ეჩვენებათ. საჭიროა წოლხვრელში დაადგძელონ ჩიხი და შეაკეთონ არსებული საშახტო ვაგონეტები ან შეიძინონ ახალი ვაგონეტები. კარგი იქნება, თუ გელათშახტმშენის სამმართველოს ხელმძღვანელები დაეჩქარებენ ავტომატური გადამცელელის აგებას. ამით დაჩქარდება საშახტო ვაგონეტების ბრუნვა, გაუმჯობესდება მოძრაობის საქმე.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის სწორ ორგანიზაციას, რაც გაყვანის ტემპის შენელებას, სამუშაოს გაძნელებას იწვევს. ამას წინათ ა. ბაკურაძის გამონამუშევარი, რომელშიც შახტმშენებლებს დაწყებული ჰქონდათ მიწისქვეშა საჯალამბრე საკნის მშენებლობა. ამ საკნის აგება მეტად საჩქაროა, რადგან ჯალამბრის დაუმონტაჟებლად შეუძლებელია გრძელი ქანობის გაყვანის დაწყება. მიუხედავად ამისა, ამ გამონამუშევარში არავინ მუშაობდა, რადგან სამუშაო ფრონტი მომზადებული არ იყო. საკენტილაციო მილგაყვანილობა წესიერ მდგომარეობაში არ ჰქონდათ.

მუშაობაში ყველაზე „ავიწრო ადგილია“ დამხმარე მასალებით ცუდი მომარაგება. აქ თვეობით თავის დროზე ვერ იღებენ რკინაბეტონის ასაწყობ სამაგრ მასალას, განსაკუთრებით განიცდიან რკინის კოჭებისა და რეზინის მილების სიმცირეს.

გელათის შახტის რეკონსტრუქციის გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვის პირველად პარტიულ ორგანიზაციასაც (მდივანი კ. სიხარულიძე). კომუნისტები ვერ ირჩენენ თაოსნობას და თვითმოქმედების უნარს, ნაკლებად იბრძვიან შინაგუსურსების გამოვლინებისათვის. პარტიულ ორგანიზაციას ჩამორჩენა არ აწუხებს. იგი საჭიროდაც არ თვლის პარტიულ კრებებზე სპეციალური მსჯელობის საკითხი გახადონ შრომის ნაყოფიერების გადიდების, ხარისხის ამაღლებისა და მშენებლობის დაჩქარების საკითხები.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაჩქარების საქმეში ფიფი როლი უნდა შასრულონ ტყიბულ-ქანახშირის ტრესტმა და ტყიბულის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ. მაგრამ ისინი ამაში უძლურნი არიან, ვინაიდან გელათშახტმშენის სამმართველო რატომღაც ქ. ქუთაისში იმყოფება. საჭიროა ამ შეუსაბამობის ლიკვიდაცია. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ გელათის შახტის სარეკონსტრუქციო სამუშაოები გადაეცეს ტყიბულ-ქანახშირის ტრესტს, გელათის შახტს ან ტყიბულშახტმშენის სამმართველოს.

Გ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ხასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი კომპლექსური მექანიზაციისა და წარმოების ავტომატიზაციის ბაზაზე შვიდწლედში მნიშვნელოვნად გაადიდებს თვითმავალი შასების გამოშვებას. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: უბნის უფროსი ბ. ჭანტურია (მარცხნივ) და ამწყობი შ. გიუნაშვილი ამწყობენ თვითმავალ შასის.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალგაზრდობის საგრძოლო ამოცანა

საქართველოს კომკავშირული აქტივის კრებაზე

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და ჭაბუკების შემოქმედებითი აქტივობის ახალი მოზღვავება გამოიწვიეს. კომუნისტური პარტიის საქმის ერთგული საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც ყოველთვის, მზად არის თავდადებით იბრძოლოს იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ ჩვენს ქვეყანას დაუსახა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციებისა და მთელი ახალგაზრდობისათვის დასახულ ამოცანებს მიეძღვნა კომკავშირის რესპუბლიკური აქტივის კრება. კრებას დაესწრნენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ახალგაზრდა ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, კომკავშირული აქტივისტები.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ქადაგიძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები“.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ელაპარაკეს, თუ რა მხურვალე გამოხმაურება პოვეს ახალგაზრდობის გულში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, გაუზიარეს დამსწრეთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, რომელთა მიზანია ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა შრომითი აქტივობისა და ინიციატივის გაძლიერება.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. მენთეშაშვილმა მოუწოდა ახალგაზრდებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, იყონ კომუნისტური პარტიის აქტიური თანაშემწე კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

აქტივის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს ყველა კომკავშირულისადმი, მთელი ახალგაზრდობისადმი. (საქდესი).

საუბარი არსებითად

აშშ ეროვნულ გამოფენაზე მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გამოფენის გახსნამდე რამდენიმე საათის წინ გამოფენა ინახულეს საბჭოთა ხელმძღვანელებმა. ისინი გაეცნენ მთავარი პავილიონის, გეოდეზიის პავილიონის ეკსპონატებს და განსაკუთრებით დიდხანს გაჩერდნენ ეგრეთწოდებულ ტიპიურ ამერიკულ სახლში, რომელსაც გამოფენაზე უჭვენებენ. აქ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს რ. ნიქსონს შორის გაიმართა გაცხოველებული, გულახდილი საუბარი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც ამერიკული სახლის სამზარეულოს ათვალიერებდა, იკითხა, რა მასალისაგან არის დამზადებული სამზარეულოს მოწყობილობაო.

— ფოლადისა და ალუმინისაგან, — უპასუხა ნიქსონმა.

— ვფიქრობ, პლასტიკური მასებისაგან გაკეთებული ეჯობნებოდა და უფრო იაფი იქნებოდა.

საბჭოთა მთავრობის მეთაური ურჩევს ნიქსონს გაიცნოს მოსკოვის ახალ სახლებში ბინების მშენებლობის გამოცდილებას. მაშინ შეგეძლებათ დარწმუნდეთ, ამბობს იგი, რომ ჩვენი ახალი სამზარეულოები თქვენს სამზარეულოებს არ ჩამოუვარდება.

ბ-ნი ნიქსონი ამბობს, ამერიკაში დიალაპარაკისების საჭიროებათათვის ხრუნვიენო.

— და ჩვენში მაინც უფრო მეტად სცემენ პატივს ქალს, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უპასუხებს ამხანაგი ხრუშჩოვი.

შემდგომ საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ იგი, იცნობს ამერიკის სამშენებლო ტექნიკას, თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ყოფილა.

— თქვენი სახლი, რომელსაც გამოფენაზე უჩვენებენ, რა თქმა უნდა, ლამაზია. მაგრამ ჩვენ ასეთ სახლებს არ ავაშენებთ. ისინი ფანერისაგან არის გაკეთებული და ოც წელს მეტს ვერ გაძლებს. ეს მარტო ჩემი აზრი როდია. ასე ლაპარაკობენ თვით ამერიკული სამშენებლო ფირმების წარმომადგენლები. ჩვენ ოდესღაც თვითონ ვყიდულობდით ასეთ სახლებს ფინეთისაგან, მაგრამ ახლა აღარ ვყიდულობთ, რადგან ეს ხელსაყრელი არ არის. სახლები უნდა შენდებოდეს საფუძვლიანად, რკინაბეტონისა და აგურისა, ისე, რომ ამ სახლებში ცხოვრება შეეძლოთ ჩვენს შვილებსა და ჩვენს შვილიშვილებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი შენიშნავს, იქნებ შვილიშვილებს სხვა გემოვნება ექნეთო.

— დიახ, ეს მართლაც შეიძლება მოხდეს, — ამბობს ნიკიტა სერგეის-ძე. რა თქმა უნდა, ავიჯი შეიძლება გამოიცვალოს, სახლების დანგრევა და დაწვა კი რა საჭიროა.

მალე ლაპარაკი გადადის იმ თემაზე, თუ როგორ აშენებს ამერიკული პროპაგანდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების წესს.

— ამასთან დაკავშირებით მინდა გამამბოთ მხიარული ადმოსავლური ანეგდოტი, ბ-ნო ნიქსონ. ერთხელ ერთი მოლა გზაზე მიდიოდა. როცა ჰკითხეს, სად მიდიხარო, მან უპასუხა: აგერ, იმ მთაზე, ამბობენ, იქ უფასოდ ფლავს არიგებენო. ბევრი გაეშურა მოლას მიერ ნაჩვენები მიმართულებით. მოლამ ეს რომ დაინახა, თვითონვე დაიჭირა თავისი ტყვიები — იქნებ იქ მართლაც უფასოდ არიგებენ ფლავსო, — და სირბილით მიმავალთ შეუერთდა. ასეა თქვენი პროპაგანდაც, — დასძინა ნიკიტა სერგეის-ძე და მის სიტყვებზე ყველა დამსწრე ერთსულოვნად ხარხარებს. — თქვენ თვითონ გამოიგონეთ. საბჭოთა ადამიანის ფანტასტიკური სახე და თვითონვე დაიჯერეთ თქვენი გამონაგონი. აი თქვენ ვვიჩვენებთ თქვენს სამზარეულოიან სახლს და ფიქრობთ, რომ ამით საბჭოთა ადამიანებს გააკვირვებთ. ამერიკელს ასეთი სახლის ყიდვა რომ შეეძლოს, ძალიან ბევრი დოლარი უნდა ჰქონდეს, საბჭოთა ადამიანს უფლება აქვს მოსთხოვოს ბინა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს. ჩვენში, როგორც ცნობილია, ბინის ქირა ძალიან და ძალიან მცირეა. მას, თუ გნებავთ, სიმბოლიური ხასიათი აქვს. აი თქვენ ბევრს ლაპარაკობთ თქვენი თავისუფლებების შესახებ, მაგრამ მათ შორის ხომ არის ისეთი თავისუფლებაც, როგორიც არის ხიდქვეშ ღამის თევის თავისუფლება.

როგორც ჩანს, ეს თემა არ ეჭაშნიკა ამერიკელ თანამოსაუბრეს. იგი ამჯობინებს ლაპარაკს ამაზე, რომ საკუთარ ყოფიერებით ბედნიერ ადამიანებს ეშინოდეს, როცა ასეთი არწივები ჰყავს. უფრო ყურადღებით დაკვირდით მათ, ჰგავან ისინი მონებს!? აი თქვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში აწყობენ ეგრეთწოდებულ „დამონებული ქვეყნების კონგრესს". მაგრამ ესენი რა მონები არიან?

— ნიკიტა სერგეის-ძეს, ჩვენ კიდევაც დავანიშნეთ ეს სიტყვა — და ის, თუ რას ნიშნავს იგი, — ღიმილით უპასუხებენ ეს ეარდისფერლოყიანი, ჯანღონით სავსე ადამიანები.

ბ-ნი ნიქსონი თავის მხრივ მიუთითებს რუს ბიჭებთან მდგომ მაღალ და ტანად ახალგაზრდა ამერიკელებზე:

— განა ჩვენი არწივები ცოდი არიან? ნიკიტა სერგეის-ძე აქვე დასძენს:

—პო და საჭიროა, რომ ისინი მეგობრობდნენ. რამდენი კარგი რამის გაკეთება შეიძლებოდა ერთად!

გამოფენის დათვალიერება დამთავრებულია. ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები ხელს ართმევენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს.

ასობით მუშა, გამოფენის თანამშრომლები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი კორესპონდენტები მქუხარე ტაშით, მისალმების შეძახილებით მიაცილებენ საბჭოთა ხელმძღვანელებს, მადლობას უძღვნიან ნ. ს. ხრუშჩოვს გულახდილ საუბრისათვის.

ე. ლიტოშკო.

„პრავდა", 25/VII.

„ვაშენოთ მშვიდობის საკეთილდღეოდ!"

საბჭოთა გამოფენაზე ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. (**საკუთარი კორ.**). მეოთხე კვირაა ნიუ-იორკში „კოლოზეუმის" შენობაში მუშაობს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენა. ამ ხნის განმავლობაში გამოფენა დათვალიერა ასეულ ათასობით ამერიკელმა შეერთებული შტატების სულ სხვადასხვა ქალაქიდან. ბევრი მათგანი დამთვალიერებელთა შთაბეჭდილების წიგნში ტოვებს ჩანაწერებს თავის შთაბეჭდილებათა შესახებ. ასეთი წიგნები გამოფენის ყოველ განყოფილებაშია.

ფურცლავ ამ წიგნებს და რწმუნდებიო, რომ გამოფენამ „კოლოზეუმში" ამერიკელებს უამბო სიმართლე საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და მისწრაფებათა შესახებ და ბევრი ამერიკელი აიძულა სხვაგვარად შეხედოს საბჭოთა კავშირს.

„თქვენმა გამოფენამ, — განაცხადა ამერიკელმა მუშამ, რომელმაც დატოვა ინიციალები კ. დ. — გვაიძულა მე და ჩემი ამხანაგები შეგვიცვალა წარმოდგენა თქვენს ქვეყანაზე და თქვენს ხალხზე. ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცოდით საბჭოთა კავშირის შესახებ. გისურვებთ წარმატებებს თქვენს მშვიდობიან შრომაში".

ამავე გვერდზე არის მეორე ჩანაწერი: „გილოცავთ, 40 წელიწადში თქვენ გააკეთეთ ის, რაზეც ჩვენ თითქმის საუკუნენახევარი ვიბრძოდით. პ. ხ. რუდოლფი, მ. ტ. ვერონი".

— გმადლობთ, დიასახლისო, იმისათვის, რომ თქვენ თავიანთან მოგვიკეთეთ შესაძლებლობა ეს დისკუსია სამზარეულოში მოგვეწყო.

„ტიპიური" ამერიკული სახლიდან გამოსასვლელთან ნიკიტა სერგეის-ძე მიუთითებს რ. ნიქსონს რო ახალგაზრდა საბჭოთა მუშაზე.

— შეხედეთ, როგორი არწივები არიან! ჩვენს მთავრობას არ შეშვენის. ვინმე საფრთხისა ეშინოდეს, როცა ასეთი არწივები ჰყავს. უფრო ყურადღებით დაკვირდით მათ, ჰგავან ისინი მონებს!? აი თქვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში აწყობენ ეგრეთწოდებულ „დამონებული ქვეყნების კონგრესს". მაგრამ ესენი რა მონები არიან?

— ნიკიტა სერგეის-ძეს, ჩვენ კიდევაც დავანიშნეთ ეს სიტყვა — და ის, თუ რას ნიშნავს იგი, — ღიმილით უპასუხებენ ეს ვარდისფერლოყიანი, ჯანღონით სავსე ადამიანები.

ბ-ნი ნიქსონი თავის მხრივ მიუთითებს რუს ბიჭებთან მდგომ მაღალ და ტანად ახალგაზრდა ამერიკელებზე:

— განა ჩვენი არწივები ცოდი არიან? ნიკიტა სერგეის-ძე აქვე დასძენს:

—პო და საჭიროა, რომ ისინი მეგობრობდნენ. რამდენი კარგი რამის გაკეთება შეიძლებოდა ერთად!

გამოფენის დათვალიერება დამთავრებულია. ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები ხელს ართმევენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს.

ასობით მუშა, გამოფენის თანამშრომლები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი კორესპონდენტები მქუხარე ტაშით, მისალმების შეძახილებით მიაცილებენ საბჭოთა ხელმძღვანელებს, მადლობას უძღვნიან ნ. ს. ხრუშჩოვს გულახდილ საუბრისათვის.

ე. ლიტოშკო.

„პრავდა", 25/VII.

„დადექით ელადის მხარეზე, მთელი მსოფლიოს დემოკრატებო!"

მანოლის გლეზოსის მიმართვა კეთილ ნების ყველა ადამიანისადმი

ათენი, 26 ივლისი. (საკუთარი). მანოლის გლეზოსმა კეთილი ნების ყველა ადამიანს, რომლებიც იბრძვიან მისი თავისუფლებისა და სხვა ბერძენი დემოკრატების თავისუფლებისათვის, მთელ მსოფლიო საზოგადოებრიობას მიმართა შემდეგი შინაარსის წერილით:

— ძვირფასო მეგობრებო მთელ მსოფლიოში! ნება მიბოძეთ მაგრად ჩამოგართვათ ხელი და მადლობა გადაგიხადოთ იმის გამო, რაც თქვენ გააკეთეთ დემოკრატიისათვის ჩვენს ქვეყანაში. ნება მიბოძეთ აგრეთვე ყოველი თქვენთაგანი ჩემს მეგობრად მივიჩნიო. ბერძენი დემოკრატები გრძნობენ ყოველდღიურ ძმურ კავშირს თქვენთან, ასობით მილიონ ადამიანთან, დიდებით და უბრალოებთან, რომლებიც მთელ დედამიწაზე იცავენ, თაყვანცემული თავისებურად, თავის ადგილზე, თავისუფლებასა და მშვიდობას.

ახლახან დამთავრებული გასამართლება იყო უხეში ძალადობა ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ. სიმართლემ ელვასავით გაანათა ადამიანთა გული. და ჩვენ, იმათ, ვისაც ასამართლებდნენ, ვიცით, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილმა შეთქმულებამ შეიანელა ჩვენი პატივცემული მოწინააღმდეგეების გულის წყრომაც კი ჩვენს წინააღმდეგ.

თქვენ, ჩვენო მეგობრებო საზღვარგარეთ, ნურასოდეს ნუ გაიგიჟებენ თქვენს ფიქრებში საბერძნეთს ომათთან, ვინც თავისუფლებას ფლეგნის. იმ ქვეყანაში, რომელმაც შექმნა პართენონის მსგავსი ქმნილებანი და სახელი გაითქვა წინააღმდეგობის მორალობით, მუდამ ცოცხლობს ჩაუქრობელი სიყვარული თავისუფლებისადმი. და თუ აქ დემოკრატია სასტიკ დევნას განიცდის, ეს იმიტომ, რომ მან ღრმა ფესვები გაიდგა ხალხში, იმიტომ, რომ ტირანია უძლურად გრძნობს თავს და შიშს განიცდის.

ახლახან დამთავრებული გასამართლება ნიშნავს არა მარტო რამდენიმე ადამიანის, არამედ მთელი ხალხის დევნას, ბრალდებულთა სახით უცხოელთა მსახურებს სურდათ ჩაეჩუმებინათ იმათი ხმა, ვინც ჩვენს ქვეყანაში მოითხოვს თავისუფლებას, ცოტა პურსა და ყველზე მეტად მშვიდობას.

ძვირფასო მეგობრებო! მწუხარება მოვიდა საბერძნეთში — იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს არა მარტო სახელოვანი წარსული, არამედ აგრეთვე მრავალის აღმთქმელი აწმყო. მაგრამ ეს უსაზღვრო მწუხარება იქცევა მრისხანებად, წინააღმდეგობად, შეურიგებელ ბრძოლად უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ, სიკეთილის რაკეტული ბაზების, მონური კანონების წინააღმდეგ და ერთი მუჭა ეგზპლოატატორებისაგან განთავისუფლებისათვის.

ამ ბრძოლას, რომელიც ნაწილია მსოფლიო მოძრაობისა უკეთესი მომავლისაკენ, დაემიზნეს თავისი ლახვარი იმათ, ვინც ჩვენ გვევენის. მაგრამ ეს ბრძოლა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს გასამართლების შედეგებს, რადგან 15 დღის განმავლობაში ხალხმა, მათ შორის ყველზე კონსერვატიულმა, მაგრამ პატიოსანმა ადამიანებმა შეიტყეს ნამდვილი სიმართლე და კვლავ დაინახეს, რომ სიმართლე მათ მხარეზეა, ვისაც დევნიან.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი გასამართლება დამთავრდა. მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატია იშვა, დემოკრატიას დაადეს 375 ფაშისტური კანონისა და სამოქალაქო ომის დროის ყველა მონური კანონის (ადმინისტრაციულ გადასახლებათა რეჟიმი, კანონი 509, „ცნობები" სოციალურ შეხედულებათა შესახებ და სხვ.) ხუნდები. ათობით პატიოსანი პატრიოტი, რომლებიც უკვე 5 წელია საპყრობილეებში სხედან გასამართლების მოლოდინში და რომელთაც, ისევე როგორც ჩვენ, ბრალად სდებენ „ჯაშუშობას", ამავე შეთქმულების მსხვერპლნი არიან. ათასობით სხვანი — წინააღმდეგობის მებრძოლნი, რომლებსაც თქვენს ქვეყნებში უკვე ახლა აქვთ განკუთვნილი ადგილი ეროვნული დიდების პანთეონებში, 12-15 წელია საპყრობილეებსა და გადასახლებაში იმყოფებიან. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ისე, რომ ვერ ხედავს დღის სინათლეს, უმუშევრად და უიმედოდ, რადგან ისინი არ აკეთებენ „დილოსის" (განცხადება ომიკრონში საბერძნეთის ომამდე, 1940 წელს, ფაშისტური ბანდა ალბანეთიდან ბერძნეთზე ესროლა ეს ტყვია. ეს ტყვია ნიშნავს ომს. ეს ტყვია ნიშნავს ომს ბერძნეთის ეროვნული ღირსებისა და ბერძნეთის ეროვნული ინტერესებისა. ეს ტყვია ნიშნავს ომს

ათასეების გულისძგერა

გაიხსნა ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეშვიდე მსოფლიო ფესტივალის მონაწილე ქართველ ახალგაზრდა მოცეკვავეთა ჯგუფი (ხელმძღვანელი ბ. დარახველიძე) ასრულებს ცეკვა „ხევსურულს“.

ფოტო კ. კრიმსკისა.

ვენა, 26 ივლისი. (საკუთარი კორ.). დღეს ვენაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეშვიდე მსოფლიო ფესტივალი. დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ავსტრიის დედაქალაქში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

ფესტივალის მტვერთა ვერავითარმა ხრიკმა, ეს ხრიკები კი დღემდე არ წყდება, ვერ შეუშალა ხელი ახალგაზრდობის დიდ შეკრებას. ვენამ სტუმართმოყვარულად გაუღო კარი სხვადასხვა ეროვნების ქალაქშვილებსა და ჭაბუკებს და ცისფერი დუნაის ნაპირებზე გაისმა მეტყველება სხვადასხვა ენაზე.

ნაშუადღევის 5 საათისათვის პრატერის პარკის ფართო ხეივანში ორკესტრთა გრიალში დაიწყო დელეგაციების საზეიმო სვლა ვენის სტადიონზე. მსვლელობის მონაწილეთ გზაზე გულთბილად მიესალმებიან ვენის მცხოვრებნი, აგრეთვე ავსტრიის სხვა ქალაქებიდან და ოლქებიდან ჩამოსული ავსტრიელები. ისმის სიმღერები, მისალმებათა ხმამაღალი შეძახილები, ახალგაზრდები მაგრად ერთმეორეს ხელს ერთმანეთს.

მსვლელობის მთავარი კოლონა უახლოვდება ვენის ცენტრალური სტადიონის ჭიშკარს. ეს სტადიონი 70 ათასამდე კაცს იტევს.

მთავარ ლოჟაში შემოდიან ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრები, საპატიო სტუმრები, ოფიციალური პირები, მათ შორის ფედერალური კანცლერის პირადი წარმომადგენელი დოქტორი ხალუბკა. იწყება დელეგაციათა საზეიმო პარადი. მქუხარე ტაშს იწვევს ქალიშვილთა და ჭაბუკთა ჯგუფის გამოჩენა, რომელთაც მოაქვთ ფესტივალის უზარმაზარი ემბლემა. შემდეგ მეოროშეებს მოაქვთ ფესტივალის ქალთა დროშები და ვენის ფესტივალში მონაწილე 110-ზე მეტი ქვეყნის დელეგაციათა ეროვნული ალმები. სტადიონი ტაშს უკრავს. ბილიკზე გამოდის ალბანეთის ახალგაზრდათა დელეგაცია, რომელიც პირველია ანბანის მიხედვით. მას მოაქვთ ალეირის, ბულგარეთის, დანიის, კამბოჯის ქალიშვილები და ჭაბუკები, და ყოველ დელეგაციას ეგებებიან მხურვალე მეგობრული ტაშით. შეძახილებით „ფრიენდშაფტ“ — „მეგობრობა“.

სულ ახალი და ახალი დელეგაციები შემოდიან სტადიონზე. აი მოდის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია — ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია. მოდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობა, ახალგაზრდა ჩეხები, ინდოელები, ციცილონელები. დამსწრენი ძალიან გულთბილად ხვდებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაციას. მოდიან ამერიკის შეერთებული შტატების, ეიაყის, ბელგიის კონგოს ქალაშვილები და ჭაბუკები.

...მაგრამ აი სტადიონის მინდორზე შემოდიან საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენელთა პირველი მწკრივები. მთელი სტადიონი ფეხზე დგება, ჰქუხს ოვაცია. ყველგან ყველა ენაზე გაისმის სიტყვები: „მშვიდობა!“, „მეგობრობა!“, „მოსკოვი!“

ერთმეორეს მოჰყვებიან კამერუნის, ტრინიდადის, ეთიოპიის, იაპონის ახალგაზრდათა დელეგაციები. ტრადიციის მიხედვით ბოლოს მოდის იმ ქვეყნის დელეგაცია, სადაც ფესტივალი მიმდინარეობს. სპანეთ ტრიბუნას ჩაუარა ათასობით ახალგაზრდა ავსტრიელმა წითელ-თეთრ-წითელი ეროვნული ალმებით.

პარადი დამთავრდა. იწყება საზეიმო მიტინგი. ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის სახელით იტალიის ახალგაზრდობის წარმომადგენელი ბალცამო მხურვალედ მიესალმება ფესტივალის დელეგატებსა და სტუმრებს. შემდეგ სიტყვა ეძლევა ხუთი კონტინენტისა და ავსტრიის — მეშვიდე ფესტივალის ქვეყნის—ახალგაზრდობის წარმომადგენლებს. ევროპის ახალგაზრდობის სახელით სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის დელეგატი ს. რომანოვსკი. თავის გამოსვლის დროს მან წაიკითხა ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილი ფესტივალის მონაწილეებისადმი, რომელსაც ისინი უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეშვიდე მსოფლიო ფესტივალი გახსნილად ცხადდება.

გ. დრაგუნოვი,
ლ. სტეპანოვი.

ვაჟას ხსოვნას

არიან მწერლები, რომლებიც, შორსმიმავალი მგზავრივით, თანდათან პატარავდებიან. მაგრამ არიან ისეთი შემოქმედნიც, რომელთაც დრო და მანძილი ვერაფერს აკლებს. გადის დრო, ერთმანეთს ენაცვლებიან წლები, მათი შემოქმედება კი ახალი ძალით ცოცხლობს ხალხის გულსა და სულში.

ასეთ შემოქმედთა, რიცხვს ეკუთვნის დიდი ქართველი მგოსანი ვაჟა-ფშაველა, რომლის დაბადების 98 წლისთავი დიდი ტულითადობით აღნიშნეს დუშეთის რაიონის მშრომელებმა.

კვირის მთელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები მოწიწებით ეწვივნენ ვაჟას საფლავს მთაწმინდაზე, მთის იმ ყვავილებთა და მწვანე ფოთლებით შეამკეს იგი, რომლებსაც მომაკვდავი მგოსანი ხატრობდა.

დიდი გამოცოცხლება იყო სოფელ ჩარგალნიც. ფშავის ამ პატარა და ჩვეულებრივ სოფელში, საიდანაც ვაჟამ თავისი პოეზიის უზარმაზარი სამყარო დაგვანახვა, მგოსნის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბურდული, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მწითური, რაიონის მშრომელთა წარმომადგენლნი, სტუმრები დედაქალაქიდან — პოეტები გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი შატბერაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი.

ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საღამო გაიმართა დუშეთის კულტურისა და დასვენების პარკში. მოხსენებით „დიდი ქართველი მგოსანი ვაჟა-ფშაველა“ გამოვიდა ვ. ლეონიძე, სიტყვები წარმოთქვეს ს. ჩიქოვანმა, გ. შატბერაშვილმა, ა. გომიაშვილმა, ახალგაზრდა პოეტმა ლ. ჭრელაშვილმა.

ვაჟას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ზეიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში

ბუდაპეშტი, 25 ივლისი. (საკუთარი). აქ გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. დამთავრდა პირადი პირველობის გათამაშება ესპადრონში. საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობაში შედარებით სუსტად გამოვიდნენ. სსრ კავშირის გუნდის ხუთი მონაწილიდან მხოლოდ ორმა — ი. მავლიხანოვმა და დ. ტიშლერმა შეძლო ნახევარფინალში გასვლა. ნახევარფინალში მათ მოიპოვეს მხოლოდ ორი გამარჯვება და გავიდნენ შეჯიბრებიდან.

ფინალში ოქროს მედალი მოიპოვა რ. კარპატიმ (უნგრეთი). მეორე ადგილი დაიკავა აგრეთვე უნგრელმა სპორტსმენმა ტ. მენდელენმ. ბრინჯაოს მედალი ხვდა პოლონელ სპორტსმენს პავლოვსკის.

ბუდაპეშტი, 26 ივლისი. (საკუთარი). გუშინ საღამოს დაშნით მებრძოლთა ფინალურ შეხვედრაში წარმატებას მიაღწიეს უნგრელებმა და პირველი ადგილი დაიკავეს. საბჭოთა გუნდმა ბ. ხაბაროვის, ა. ჩერნუშევიჩის, ვ. ჩერნიკოვისა და გ. კოსტავას შემადგენლობით მეორე ადგილი დაიკავა.

ბუქარესტის მატჩის წინ

ოლიმპიური ტურნირის შერჩევით ახპარეზობაში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს — საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე. პირველი მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდებს შორის, რომელიც მოსკოვში შედგა, დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით 2:0.

ამ გუნდების მეორე შეხვედრა გაიმართება ბუქარესტში 2 აგვისტოს. სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებთა პირველი შეხვედრის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელთა საბჭომ გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები მოახდინა.

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების რიგებში არიან: ი. ალიოშინი, დ. ბაგრიჩი, ბ. ბატანოვი, მ. ვრომოლაევი, ს. ზავიდონოვი, ზ. კალოევი, ა. კავაზაშვილი, ი. კოვალიოვი, ვ. კოროლენკოვი, ნ. ლინიაევი, ა. მამიკინი, ს. მეტრეველი, ი. მოსალიოვი, ვ. პონეტელნაკი, ბ. რაზინსკი, ა. სოლდატოვი, ა. სოკოლოვი, ვ. ურინი, ი. ჩისლენკო, ვ. შუსტიკოვი.

თვალსაჩინო ცვლილებებია აგრეთვე რუმინეთის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

მრავალდღიანი ველორბოლა

გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მრავალდღიანი ველორბოლა, რომლის ტრასა ხუთ მოძმე რესპუბლიკაზე გადის და 2.200-ზე მეტ კილომეტრს მოიცავს.

პირველი ეტაპი მინსკი-ვილნიუსი იყო. დისტანციაზე (222 კილომეტრი) ბრძოლა ძირითადად მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოსა და ბელორუსიის გუნდებს შორის მიმდინარეობდა. გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვის გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ე. კლევცოვი, ნ. სიროტინი, ე. ნემეტოვი, ა. ბოლოტინი, ა. პოდიაბლონსკი, ვ. კურდიუმოვი. გამარჯვებულებმა აჩვენეს დრო — 15:24.57. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადელები, მესამეზე — უკრაინელები. საქართველოს გუნდმა ტაჯიკეთისა და ბელორუსიის ველოსრბოლებთან ერთად გაიყო მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები.

პირად ასპარეზობაში ფინიშის ხაზი პირველად ე. კლევცოვმა გადაკვეთა. დრო — 5:07.37.

მეორე ეტაპს ვილნიუსი-კაუნასი წარმოადგენდა. დისტანცია (103 კილომეტრი) ყველაზე ადრე გაიარა ლენინგრადის გუნდის წარმომადგენელმა პ. ვოსტრიაკოვმა. მან აჩვენა დრო — 2:13.43 (საშუალო სისწრაფე საათში შეადგენს 45,6 კილომეტრს).

გუნდურ ჩათვლაში მეორე ეტაპზე გამარჯვება ლენინგრადელებს ხვდათ. ორი ეტაპის შემდეგ ველორბოლის ლიდერია პ. ვოსტრიკოვი, ხოლო გუნდურ ჩათვლაში — მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივი.

მესამე ეტაპის მარშრუტი კაუნასი-შაულიაი იყო. დისტანცია (176 კილომეტრი) ყველაზე ადრე გაიარა უკრაინელმა სპორტსმენმა მ. კურბატოვმა. მის მიერ ნაჩვენები დროა 4:17.20. ამ ეტაპზე გამარჯვება დედაქალაქის ველომრბოლებმა მოიპოვეს.

სამი ეტაპის შემდეგ ველორბოლის ლიდერი გახდა ა. პოდიაბლონსკი, ხოლო გუნდურ ასპარეზობაში პირველობას კვლავ მოსკოველები ინარჩუნებენ.

გუშინ ველომრბოლები ისვენებდნენ. დღეს სტარტი მიეცემა მეოთხე ეტაპს.

„რუსები ხელოვნების ნამდვილი ოსტატები არიან“

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკუთარი). ჩიკაგოს თეატრ „სივიკ ოპერა ჰაუზში“, სადაც 3,5 ათასი ადგილია, უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ნიუ-იორკის საბჭოთა გამოფენიდან აქ ჩამოსული საბჭოთა მსახიობების დიდი კოლექტივის კონცერტები. საბჭოთა მსახიობებმა აქ გამართეს ოთხი კონცერტი. საბჭოთა მსახიობების გამოსვლებს მაყურებლები აღტაცებით შეხვდნენ.

კვლავ, ისევე როგორც სსრ კავშირის ხალხური ცეკვის ანსამბლის, ჭორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას“, სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის სბალეტო დასის მსახიობთა გამოსვლების დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკის გაზეთები და თეატრალური კრიტიკოსები საბჭოთა მსახიობის ოსტატობას ახასიათებენ როგორც საბჭოთა კავშირში „კულტურისა და ხელოვნების არაჩვეულებრივი აყვავების“ დადასტურებას. გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი“ ხაზს უსვამს, რომ სსრ კავშირის ხალხთა მუსიკისა და ცეკვის ფესტივალზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, წარმოდგენილია ბევრი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელთა საცეკვო და მუსიკალური ხელოვნების თავისებურება ამერიკელ მაყურებლებს ხიბლავს ისევე, როგორც მოხიბლა რუსულმა ხალხურმა ცეკვებმა ანსამბლ „ბერიოზკას“ და დიდი თეატრის კლასიკური ბალეტის ვირტუოზთა შესრულებით.

აღწერს რა პირველ კონცერტს თეატრ „სივიკ ოპერა ჰაუზში“ „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ მიმომხილველი დონ პენაჰანი ადასტურებს, რომ მაყურებლებს „ხელი ეტაცნათ“ ყოველი ნომრისათვის ტაშის დაკვრით. იგი განსაკუთრებით გამოჰყოფს სომეხ, ქართველ, უზბეკ და უაზახ მსახიობთა ოსტატობას.

საბჭოთა მსახიობების კონცერტები ჩიკაგოში

გაზეთი „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ „ამ პროგრამაში, რომელიც სავსე იყო ვირტუოზული ნომრებით, შეუძლებელია გამოიყოს საუკეთესონი“. დიდი თეატრის სოლისტები ნინო ტიმოფეევა და იური უდანოვი, „ადაუიოს“ შესრულების დროს ბალეტიდან „გედის ტბა“, გვიბიძლავენ არაჩვეულებრივი ოსტატობით. ცეკვის შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით თქვენ ვერაფერს ნახავთ უკეთესს.

ყოველგვარი ქების ღირსია, განაგრძობს გაზეთი, ოსტატობა საბჭოთა მოცეკვავეებისა სსრ კავშირის ხალხური ცეკვის ანსამბლიდან.

უდიდესი წარმატებით სარგებლობს პიატნიცკის სახელობის მომღერალთა გუნდი. მაყურებლები განსაკუთრებით მოხიბლა გუნდის მიერ შესრულებულმა ამერიკელი კომპოზიტორის სოსტერის სიმღერამ „სახლი მდინარეზე“. პროგრამის სხვა ნომრებიდან გაზეთი განსაკუთრებით გამოჰყოფს სომეხ და ქართველ მსახიობთა მიერ თავიანთი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შესრულებას ხალხური საკრავების ორკესტრების თანხლებით, უზბეკი ბალერინას გალია ოზმაილოვას, ლენინგრადის მცირე სათეატრო თეატრის მსახიობთა, კიევის ბალეტის სოლისტთა და სხვათა გამოსვლას. „ეს რუსები ხელოვნების ნამდვილი ოსტატები არიან“, — დაასკვნის „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსი“.

საბჭოთა მსახიობები ჩიკაგოში გამართავენ კიდევ სამ კონცერტს, ხოლო შემდეგ გაფრინდებიან ლოსანჯელესში, სადაც უჩვენებენ დიდ საკონცერტო პროგრამას. შემდეგ ისინი კონცერტების გასამართავად გაემგზავრებიან სან-ფრანცისკოში, ოკლენდში, მინეაპოლისსა და ვაშინგტონში. აგვისტოს დამლევს საბჭოთა მსახიობები ნიუ-იორკში გამართავენ გამოსათხოვარ კონცერტს, რის შემდეგ გაემგზავრებიან კანადაში.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმში

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა თავის მორიგ სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომ მიმდინარე წლის 31 ივლისს მოიწვიოს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი.

გამოყოფილია კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს წინადადებანი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად ჟურნალისტთა კავშირის ხაზით ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი საქართველოს ჟურნალისტთა მონაწილეობის შესახებ, ჟურნალისტიკისა და ფოტორეპორტაჟის ორწლიან დაუსწრებელ ლექტორიუმში, რომელიც იქმნება ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლთან მოსკოვში. ლექტორიუმმა ხელი უნდა შეუწყოს ჟურნალ-გაზეთების მუშაკთა, აგრეთვე ყველაზე აქტიური მუშა და სოფლის კორესპონდენტების იდეურ-შემოქმედებითი დონის ამაღლებას.

ლექტორიუმში ჩარიცხვა იწარმოებს ინდივიდუალური მეთოდით. მსურველმა 1 სექტემბრამდე უნდა წარადგინოს განცხადება, ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ, გაზეთის, ჟურნალის რედაქციების, ან გამომცემლობის რეკომენდაცია.

ლექტორიუმის სასწავლო მუშაობა შემდეგნაირად იწარმოებს: მსმენელებს ორი წლის განმავლობაში ორჯერ მიავლენენ რედაქციები მოსკოვში. ერთხელ სწავლების პირველი წლის დამდეგს გეზის მიმცემ სესიაზე, მეორედ სწავლების მეორე წლის დამლევს — საგამოცდო სესიაზე, იმ შემთხვევაში თუ სასწავლო გეგმა მთლიანად შესრულებულია. ამ ორ სესიას შორის მსმენელები ასრულებენ მთელ რიგ დავალებებს, წარადგენენ საკონტროლო და საკურსო სამუშაოებს.

სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად ადგილებზე სისტემატურად წავლენ კოსულტანტები, ხოლო ქალაქებში, სადაც არის ჟურნალისტიკის ფაკულტეტები, მოეწყობა საკონსულტაციო პუნქტები. პრეზიდიუმის სხდომაზე სსრ კავშირის ჟურნალისტთა ქავშირის წევრად მიღებული თბილისში, ქუთაისში, სტალინირსა და ზესტაფონში მომუშავე ჟურნალ-გაზეთების მუშაკთა ჯგუფი. (საქდესი).

სპორტის ალმანახი

ფეხბურთის მატჩები საზღვარგარეთ

ბერლინი, 25 ივლისი. (საკუთარი). ადნის სააგენტოს ცნობით, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფი საბჭოთა ფეხბურთელთა გუნდი ატაბიშვილის „კრილია სოვეტოვი“ შეხვდა ლაიბციგის „ლოკომოტივს.“ მატჩი დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ბუქარესტი, 25 ივლისი. (საკუთარი). როგორც რუმინეთის პრესის სააგენტო იუწყება, დონის როსტოვის სკკ-ს ფეხბურთელთა გუნდი ქალაქ არადში შეხვდა ადგილობრივ „უტას“, რომელიც „ა“ კლასში გამოდის, და დამარცხდა 0:2.

გუდაპეშტის საცურავ აუზში

ბუდაპეშტი, 26 ივლისი. (საკუთარი). გუშინ აქ დაიწყო საერთაშორისო ანბანგური შეჯიბრება ცურვაში, წყალში ტიმასა და წყალბურთში სსრ კავშირის, უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს შორის. საბჭოთა მცურავმა ლუჭკოვსკიმ 100 მეტრი ნებისმიერი სტილით გაცურა 56,3 წამში, რაც სსრ კავშირის რეკორდია. 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში უძლიერესი იყო ნიკიტინი (4 წუთი და 40,8 წამი). ქალთა შორის 100 მეტრ დისტანციაზე ბატერფლაის სტილით ცურვაში საუკეთესო დრო უჩვენა პოშნიკაკმ (სსრ კავშირი) — 1 წუთი და 14,2 წამი. საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდმა მოიგო აგრეთვე კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მეტრზე. (დრო — 4 წუთი და 21,6 წამი). შეჯიბრების პირველი დღის შედეგად წინ არის საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც მოაგროვა 62 ქულა.

რამდენიმე სტრიქონით

◉ **გასულ** კვირადღეს ლენინგრადში დამთავრდა საერთაშორისო ასპარეზობა მძლეოსნობაში ლენინგრადისა და ბელორადის ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა მძლეოსნებმა შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 134:74.

◉ **მიუნპენშტაინში** გრძელდება ჭაბუკ მოჭადრაკეთა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე. მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა ნახევარფინალური შეხვედრები ჯგუფებში. მეორე ჯგუფში წარმატებით გამოვიდა საბჭოთა მოჭადრაკე ტომსონი, რომელიც ფინალში გავიდა. დღეს დაიწყება ფინალური შეჯიბრება.

◉ **კვირას** თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის მესამე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი შეჯიბრება. თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და სკკ-ს გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

ახალი საპირველო დარბაზი

ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო გლდანში 25 ივლისს, და ეს გასაკვირველიც არ არის. აქვანო მოჭიდავეებს ხომ მრავალი წლის ისტორია და მესანიშნავი ტრადიცია აქვთ.

ამ დღეს გლდანელმა ახალგაზრდებმა და სპორტსმენებმა საჩუქრად მიიღეს ახალი კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი, რომელიც 900-მდე მაყურებელს იტევს.

აქ სტუმრად ჩამოვიდმენ სპორტსმენები თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან. დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა შეხვედრებმა ჭიდაობაში.

ამა წლის 31 ივლისს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 42) მოწვეულია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი.
დასაწყისი დღის 12 საათზე.
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

რ. ნიქსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. (საკუთარი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო მოსკოვიდან გადმოგვცემს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ რ. ნიქსონის განცხადებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან კვირას 26 ივლისს მისი შეხვედრის შემდეგ. ამ განცხადებიდან ნათქვამია:

„ვიცე-პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ეს შეხვედრა სასარგებლო იყო, რადგან მან შექმნა გეშლება და ამომწურავი დისკუსიის შესაძლებლობა მშვიდ და ობიექტურ ვითარებაში.

ვიცე-პრეზიდენტს აგრეთვე მიაჩნია, რომ ეს იყო, არსებული დროის ფარგლებში, უმნიშვნელოვანესი საკითხების სრული და ამომწურავი განხილვა“.

პროვოკაციის პასუხად

რუმინეთის მთავრობის საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ბუქარესტი, 25 ივლისი. (საკუთარი). როგორც რუმინეთის პრესის სააგენტო იუწყება, 24 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების დესპანს ბუქარესტში ამერიკის შეერთებულ შტატებში ეგზავნოწოდებულ „დამონებულ ხალხთა კვირეულის“ მოწყობასთან დაკავშირებით გადაეცა რუმინეთის მთავრობის ნოტა, რომელშიც იგი განიხილავს ამ ღონისძიებას როგორც მტრულ აქციას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, რომელთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

რუმინეთის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩაერიოს რუმინელი ხალხის საშინაო საქმეებში და მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ბოლო მოუღოს ასეთ აქციებს.

უცხოეთის ქრონიკა

◆ როგორც ადნის სააგენტო იუწყება, უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ავარია განიცადა დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების 4 რეაქტიულმა თვითმფრინავმა. ავარიის დროს დაიღუპა სამი მფრინავი.

◆ ერთ კვირაზე მეტია საბერძნეთში ძლიერი სიცხეა. ტემპერატურა ჩრდილში 40 გრადუსს აღწევს, საბერძნეთის მთელ რიგ რაიონებში სიცხემ დაიზიანა ნათესები. ირის მზის დაკვრისაგან სიკვდილის შემთხვევები.

◆ ბაღდადში ხელმოწერილია შეთანხმება კულტურული თანამშრომლობისა და ვაჭრობის შესახებ ერაყის რესპუბლიკასა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. (საკუთარი).

შემთხვევა ვროცლავში

ვროცლაველი მხურავი მუშის ედვარდ ვიტკოვსკის სახელი პოპულარული გახდა პოლონეთში. ცხელ



მზიან კვირადღეს ძალიან ბევრი ხალხი იყო ზოოლოგიურ ბაღში. ბავშვები შემოხვეოდნენ წყლის აუზს, რომელშიც გასაგრილებლად ყვინთავთ ცურავდნენ თეთრი დათვები.

დათვები, ჩანს, მიჩვეული არიან მათხოვრობას, და ბავშვები მათ ყოველგვარ ტკბილეულს უყრიდნენ. მათმა გამახარებლებმა გაიტაცა შვიდი წლის კუისტოფ კლუბაც, რომელიც იმ დღეს ჩამოეყვანათ მშობლებს ვროცლავში მეზობელი დაბიდან. აუზის კედელთან უკანა თათებზე დამდგარ დათვს რომ გამახარებლებოდა, ბიჭი ბარიერს გადაეყუდა. მას უნდოდა დათვისათვის პირდაპირ ხახაში ჩაედო ფუნთუშა, და ხელი კვეთით გაიშვირა. დათვი მოულოდნელად ახტა და ბავშვი წყალში ჩაინირა.

კუისი აუზის შუაში პატარა კუნძულზე იწვა და შიშისაგან თავი ხელებში ჩაემალა, ორმა დათვმა კი, ჯერ კიდევ ცოტა გაოცებულმა, ბავშვის ხმეულზე თავისი კბილების სინჯვა იწყო. ხალხი, ამ ტრაგიკულ სცენას რომ უყურებდა, შიშის ერუანტელმა აიტანა. მხეცებს დაუწყეს ქვების, სხვადასხვა საგნების სროლა. დათვებმა უკან დაიხიეს. ამ დროს ხალხს გამოეცო ახალგაზრდა. მას დიდხანს არ უფიქრია, შემოიკრა წელზე რეზინის შლანგი და აუზში ჩავიდა. იგი გაბედულად გადმართა იქითკენ, სადაც დათვები იყვნენ, მივიდა კუნძულთან და ხელში აიტაცა ბავშვი. დათვები დაედევნენ ბიჭს და მის მხსნელს. ვიტკოვსკი ქვებით აგერიებდა გაღიზიანებულ მხეცებს და სწრაფად მივიდა აუზის კედელთან, სადაც იგი და მისი გადარჩენილი ბიჭი ზევით აიყვანეს.

ა. პავლოვი.

„ოგონიოკი“.

საქართველოს სსრ მაბრობის სამინისტროს
თბილისის სავაჭრო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1959-60 სასწავლო წლისათვის I და II კურსებზე — ქართულ სექტორზე.

ტექნიკუმს აქვს შემდეგი სპეციალობა:

1. საჭმლის დამზადების ტექნოლოგია, 2. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოწყობილობა, 3. სამაცივრო მეურნეობა.

ტექნიკუმში მიიღებიან ორიგე სქესის პირები 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმოადგენენ დადებით დახასიათება-რეკომენდაციას საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან, კოლმეურნეობათა გამგეობისა და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოებისაგან.

I კურსზე საჭმლის დამზადების ტექნოლოგიის სპეციალობით მიიღებიან მოჭალაქენი, რომლებსაც აქვთ არასრული საშუალო განათლება. მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, კარნახი და ზეპირი), 2. მათემატიკაში (ზეპირი) და 3. რუსულ ენაში ბასაუბრება.

II კურსზე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოწყობილობისა და სამაცივრო მეურნეობის სპეციალობებზე მიიღებიან მოჭალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება. მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი), 3. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ბასაუბრება).

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 11-დან 20 აგვისტომდე. ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. ჩარიცხვა იწარმოებს 21-25 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. დახასიათება — რეკომენდაცია ტექნიკუმში შესასვლელად, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და კოლმეურნეობის წევრებისათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მიერ (წარმოადგენენ ის პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, 4. ავტობიოგრაფია, 5. დაბადების მოწმობა, 6. სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის) ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად, 7. სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4), 8. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე (ილია ჭავჭავაძის პროსპექტი 64, ტელ. 2-41-39).

რადიო

28 ივლისი

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11,30 — ტ. ბაქრაძის საფორტეპიანო ტრიო, 12;15 — საბჭოთა სიმღერები, 12.45 — ო. გორდელის კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 17.20 — პიესები ი. ბეზროდნის შესრულებით, 17.45 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის, 18.05 — მ. ნაკ